გ ა ნ ა თ ლ ე ბ ი ს ხ ა რ ი ს ხ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ე რ ო ვ ნ უ ლ ი ც ე ნ ტ რ ი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

მოდულები:

- ქართული ენა და ლიტერატურა (დაწყებითი საფეხური) მათემატიკა (დაწყებითი საფეხური)
- ბუნებისმეტყველება (დაწყებითი საფეხური)
- გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური)
- სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური)
- ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები
- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება
- მუსიკა

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი 27.09.2022

დასკვნის წარდგენის თარიღი 16.11.2022

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 205233022 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა<br><br>მოდულები:<br>• ქართული ენა და ლიტერატურა (დაწყებითი საფეხური) მათემატიკა (დაწყებითი საფეხური)<br>• ბუნებისმეტყველება (დაწყებითი საფეხური)<br>• გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური)<br>• სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური)<br>• ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები<br>• სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება<br>• მუსიკა |
| უმაღლესი განათლების საფეხური | მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | - |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | მასწავლებლის მომზადება საგნობრივი |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის" და „დაწესებულების სახის" მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

| | |
|---|---|
| | სპეციალიზაციით 0114 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება<br>(მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | • დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი;<br>• დაწყებითი საფეხურის მათემატიკის მასწავლებელი;<br>• დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების მასწავლებელი;<br>• საბაზო და საშუალო საფეხურის გეოგრაფიის მასწავლებელი;<br>• საბაზო და საშუალო საფეხურის სამოქალაქო განათლების მასწავლებელი;<br>• ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მასწავლებელი;<br>• სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი;<br>• მუსიკის მასწავლებელი. |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 60 კრედიტი |
| პროგრამის სტატუსი<br>(ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია)<br>შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | ახალი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მიხეილ გიორგაძე - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ინგა ლომაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | შალვა მესხი - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის 60 კრედიტიანი მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა არის ახალი. პროგრამა შექმნილია დაწესებულების ადმინისტრაციის, სტუდენტების, დამსაქმებლების, პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობით. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია ბაზრის მიმოხილვის შედეგები.

პროგრამის შინაარსი ითვალისიწნებს მასწავლებლის განათლების დარგობრივი მახასიათებელის მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც პროგრამა ამზადებს მასწავლებელს შემდეგი მიმართულებებით:

- დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი;
- დაწყებითი საფეხურის მათემატიკის მასწავლებელი;
- დაწყებითი საფეხურის  ბუნებისმეტყველების მასწავლებელი;
- საბაზო და საშუალო საფეხურის გეოგრაფიის მასწავლებელი;
- საბაზო და საშუალო საფეხურის სამოქალაქო განათლების მასწავლებელი;
- ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მასწავლებელი;
- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი;
- მუსიკის მასწავლებელი.

პროგრამის მოცულობა შეადგენს 60 კრედიტს, რომლის ათვისებაც ხდება ერთი აკადემიური წლის - 2 სემესტრის განმავლობაში.

პროგრამა მოიცავს პრაქტიკისა და კვლევის კომპონენტებს. პროფესიულ პრაქტიკა ხორციელდება პარტნიონ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. აღნიშნული ორგანიზაციებთან დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები.

პროგრამისთვის განსაზღვრულია ნათლად ჩამოყალიბებული სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც მოიცავს როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ შეფასების მეთოდებს. სწავლის შედეგების შეფასება დაგეგმილია წინასწარ განსაზღვრული, შერჩეული პერიოდულობით.

პროგრამის შემუშავებასა და მის განხორციელებაში ჩართულია კვალიფიციური, შესაბამისი სამეცნიერო და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პერსონალი, შესაბამისი მიმართულების საგნობრივი ექსპერტები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების აქტივობებში ჩართული ტრენერები.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ცენტრის დირექტორის ბრძანების (№1003467, 05/09/2022) თანახმად, 2022 წლის 27 სექტემბერს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტში განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ამავე უნივერსიტეტის „მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის“ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მასალები და დაიწყო მოწოდებული დოკუმენტაციის გაცნობა. ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ იმუშავა პროგრამის გაცნობაზე, შეფასებაზე და დაზუსტდა ის აუცილებელი კითხვები,

რომლებიც დაისვა ინტერვიუს დროს პროგრამის სტანდარტებსა და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

სამუშაო განრიგის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა სასწავლო უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, სასწავლო უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებს. ასევე გაიმართა ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაათვალიერა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და აუდიტორიები, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს.

შეხვედრის განმავლობაში დაზუსტდა ინფორმაცია პროგრამის, მისი ცალკეული კომპონენტებისა და სტრუქტურის, შესაბამისი დოკუმენტაციისა და ცალკეული სილაბუსების შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოტანილი დასკვნები, რეკომენდაციები და რჩევები ეყრდნობა სწორედ ზემოაღნიშნული დოკუმენტების შესწავლისა და ინტერვიუების შედეგად მიღებულ ინფორმაციას.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

წარმოდგენილი საგანამანათლებლო პროგრამა შეფასდა ხუთივე სტანდარტის მიხედვით. ყველა სტანდარტის მიხედვით, გარდა პირველი და მეორე სტანდარტისა, პროგრამა სრულად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. პირველი და მე-2 სტანდარტის მიხედვით პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებები იხილეთ შესაბამისი სტანდარტის ქვესტანდარტების მსჯელობებში.

- **რეკომენდაციები**

  - გადაიხედოს პროგრამის მიზნები. რეკომენდებულია, პროგრამის მიზანი მოიაზრებდეს მხოლოდ პროგრამის ფარგლებში მისაღწევ მიზნებს, რაც გაიზომება და მიღწევის მაჩვენებელი გაანალიზდება სტუდენტების მიერ მიღწეულ შედეგებზე დაყრდნობით;
  - რეკომენდებულია, დაკონკრეტდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა და სამიზნე ნიშნულების შერჩევის მეთოდოლოგია;
  - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მემორანდუმის პირობებში არ არის მითითებული პრაქტიკის ხანგრძლივობა და სტუდენტთა რაოდენობა. რეკომენდებულია, სკოლებთან თანამშრომლობის შეთანხმების დოკუმენტით განისაზღვროს აღნიშნული პირობა;
  - რეკომენდირებულია საგნის/საგნობრივი სწავლების მეთოდიკის კურსებში, (ჩაშენებული პრაქტიკით) დადგინდეს შუალედური და დასკვნითი გამოცდების მინიმალური კომპეტენციის ზღვრები.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ტექნიკური უზუსტობების გასწორების მიზნით, გადაიხედოს სასწავლო გეგმა და შესაბამისობაში მოვიდეს ის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულ მონაცემებთან;
- სასურველია, სასწავლო კურსებში: „სწავლება და შეფასება“, „ქართულის (1-6) სწავლების მეთოდიკა (ჩაშენებული პრაქტიკით)“, „ბუნებისმეტყველების (1-6) სწავლების მეთოდიკა (ჩაშენებული პრაქტიკით)“, „სამოქალაქო განათლების სწავლების მეთოდიკა (ჩაშენებული პრაქტიკით)“, „თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში“, „დემოკრატიული განათლებისა და ადამიანის უფლებების შესახებ ინტეგრირებული სწავლების პრინციპები“ განისაზღვროს დამატებითი ლიტერატურა
- სასურველია, სილაბუსებში მითითებული ელექტრონული წყაროები გადაყვანილი იყოს ქსელური წვდომიდან ლოკალურ წვდომაზე და დაფიქსირებული იყოს ელექტრონულ მატარებელზე (CD და DVD-დისკზე ან სხვ.) და იყოს შენახული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, აგრეთვე სილაბუსებში ელექტრონული რესურსები მითითებული იყოს ბიბლიოგრაფიული აღწერის წესით.
- სასურველია, დამატებითი ლიტერატურის ფარგლებში განისაზღვროს წყაროები მხოლოდ ქართულ ან/და უცხოურ ენაზე ადაპტირებული თარგმანით;
- სასურველია, პროგრამის აკრედიტაციის/რეაკრედიტაციის ეტაპზე შემუშავებული პროგრამების კოლეგიალური შეფასება განახორციელოს დარგის სპეციალისტმა/სპეციალისტებმა.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

  - პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტი წარმოადგენილია მხოლოდ თეორიულ კურსებში ჩაშენებული ფორმატით. ეს შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს თეორიული საკითხები გაიაზროს პრაქტიკული დავალებების შესრულების პარალელურად.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი 60 კრედიტიანი „მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა" შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად კვალიფიკაციის სირთულის მე-6 დონეს. პროგრამა არის 60 კრედიტიანი სასერთიფიკატო.<br><br>პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, რომლის თანახმად, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი ისწრაფვის თავისი წვლილი შეიტანოს ქვეყნის განვითარებაში, დაიცვას ჩვენი მრავალსაუკუნოვანი მატერიალური და სულიერი ფასეულობები; მოამზადოს შრომით ბაზარზე მოთხოვნადი მაღალი დონის სპეციალისტები; შექმნას ისეთი სასწავლო შემოქმედებითი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს პიროვნების შემოქმედებითი პოტენციალის სრულ რეალიზებას;<br>დაწესებულების მისიასთან კავშირების მოტივით არის ნაკარნახევი მიზანში გაწერილი შემდეგი დებულებები - "საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მასწავლებლების დეფიციტის აღმოფხვრას და პროფესიაში ახალი კადრების შემოსვლას, მოამზადოს მასწავლებელი, რომელიც აცნობიერებს თითოეული მოსწავლის უნიკალობას და შესაბამისად, იყენებს სწავლების დიფერენცირებული მიდგომის სტრატეგიებს, საკუთარი საქმიანობისა და მოსწავლეთა შეფასების ანალიზის საფუძველზე აუმჯობესებს მოსწავლეთა მიღწევებს, შეუძლია საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის სრულყოფა და თანამშრომლობა კოლეგებთან, პრობლემების ერთობლივად გადაჭრისა და პროფესიული განვითარებისათვის.<br>გასათვალისწინებელია, რომ პროგრამის სტრუქტურა მოიცავს სავალდებულო კურსების მოდულს 34 კრედიტის მოცულობით, რომელიც საერთოა ყველა მიმართულებისთვის და ორიენტირებულია ფართო თეორიული ცოდნის მიღებაზე ზოგად პედაგოგიური, განათლების ფსიქოლოგიისა და განვითარების თეორიების მიმართულებით.<br>მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამის მიზანში არსებული ჩანაწერი „**საგანმანათლებლო სივრცეში მასწავლებლის დეფიციტის აღმოფხვრის ხელშეწყობა**", არ არის მიმართული პროგრამის |

ფარგლებში დაგეგმილი მისაღწევი სწავლის შედეგებისა და მიზნების დემონსტრირებისკენ. ის წარმოადგენს ზოგად მიზანს, რაც შეიძლება დაწესებულების/ფაკულტეტის/სკოლის სტრატეგიული ხედვის ნაწილი იყოს. ამდენად, რეკომენდებულია, პროგრამის მიზანი მოიაზრებდეს მხოლოდ პროგრამის ფარგლებში მისაღწევ მიზნებს, რაც გაიზომება და შეფასდება სტუდენტების მიღწეული შედეგებით.

პროგრამას მტკიცებულების სახით თან ახლავს შორმის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი. პროგრამის მიზნები ეფუძნება აღნიშნული კვლევის შედეგებს. სწორედ ზემოთ აღნიშნული კვლევებით არის დასაბუთებული პროგრამის შემუშავების საჭიროება და სოციალური პროექტების შემუშავების შესაბამისი თემატიკის შეთავაზება პროგრამის ფარგლებში.

პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტებში პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და პარტნიორ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობისაკენ.

მიუხედავად იმისა, რომ მასწავლელის განათლების დარგობრივი მახასიათებლით არ არის განსაზღვრული, პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს პრაქტიკის კვლევის კურსს, რომელიც მიმართულია სტუდენტებში კვლევითი უნარების გამომუშავებაზე, რეფლექსიასა და ანალიზზე დაფუძნებულ პერდაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებაზე.

პროგრამა არის ახალი. ის განთავსებულია ვერგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

ინტერვიუებმა დაადასტურეს, რომ პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია დაწესებულების ადმინისტრაციის, პროგრამის განმახრციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და პოტენციული დამსაქმებლების / პრაქტიკის ობიექტების ხელმძღვანელების ფართო ჩართულობით. თითოეული ჩართული მხარე ავლენდა დეტალურ ცოდნას პროგრამის შესახებ და აღწერდა პროგრამაზე მუშაობის პროცესს. ინტერვიუების შედეგეად მიღებული ინფორმაცია იყო თანმიმდევრული, რელევანტური და ურთიერთშემავსებელი, რაც მიანიშნებს, რომ პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ და შემუშავებულია მათი ჩართულობით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- დაწესებულების მისია;
- დაწესებულების ვებგვერდი;
- თვითშეფასება;
- ინტერვიუს შედეგები;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი;

**რეკომენდაციები:**

- გადაიხედოს პროგრამის მიზნები. რეკომენდებულია, პროგრამის მიზანი მოიაზრებდეს მხოლოდ პროგრამის ფარგლებში მისაღწევ მიზნებს, რაც გაიზომება და მიღწევის

მაჩვენებელი გაანალიზდება სტუდენტების მიღწეულ შედეგებზე დაყრდნობით.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის 60 კრედიტიანი მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და ავტონომიურობის შესაძლებლობებს, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედგები ეყრდნობა მასწავლებლის განათლების დარგობრივ მახასიათებელსა და შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზს. პროგრამის შესწავლის შედეგად დგინდება მკაფიო კავშირები კვლევის შედეგებსა და პროგრამის შინაარს შორის.

პროგრამის ინიცირებას ახდენს დეკანის ან რექტორი. ამის შემდეგ, პროგრამის შემუშავების

საჭიროების დადგენის შემდეგ რექტორი ან ფაკულტეტი აკომპლექტებს პროგრამის სამუშაო ჯგუფს და ირჩევს პროგრამის ხელმძღვანელს. იწყება პროგრამაზე მუშაობის პროცესი უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესითა და პროცედურებით. პროგრამის შემუშავებაში ჩართულია როგორც ადმინსტრაციული ერთეულები, ასევე სპეციალურად შექმნილი ჯგუფები. ინტერვიუების შედეგად ასევე დადასტურდა, რომ სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას სისტემატიურად ეწყობოდა შეხვედრები და თითოეული ეტაპის შედეგების გაზიარება ხდებოდა ელექტრონულად თუ სამუშაო შეხვედრებზე პირის-პირ. ამას ასევე ადასტურებდა ინტერვიუს მსვლელობისას ყველა ჯგუფის მხრიდან მიღებული თანმიმდევრული და ურთიერთთავსებადი პასუხები. ზემოთ აღნიშნული მიგნებებიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია მხარეების ჩართულობით და პროგრამის სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყო სწავლის შედეგების გაცნობა დაინტერესებული მხარეებისთვის.

პროგრამის სწავლის შედეგების პროგრამის მიზნებთან შესაბამისობის სადემონსტრაციოდ დაწესებულება იყენებს პროგრამის სწავლის შედეგებისა და პროგრამის მიზნების შესაბამისობის რუკას.

პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების შეფასების მექნიზმების აღმწერი დოკუმენტი, რომელიც აღწერს სწავლის შედეგების პროცესს, ინდიკატორებსა და შეფასების გეგმას, თუმცა აღნიშნული დოკუმენტი არ აღწერს სამიზნე ნიშნულების შერჩევის მეთოდოლოგიასა და შეფასების პერიოდულობას.

სწავლის შედეგების შეფასებისთვის გამოიყენება სტუდენტთა მიერ მიღწეული შედეგები იმ კომპონენტების ფარგლებში, რომელშიც ფასდება/ჯამდება შესაბამისი სწავლის შედეგი. სტუდენტთა შეფასების ერთიანი შედეგები, შესაბამის ინდიკატორთან დადარების შედეგად, ნაწილდება შეფასების შემდეგი 4 დონის შკალაზე:

- სწავლის შედეგი მიღწეულია
- სწავლის შედეგი მეტწილად მიღწეულია
- სწავლის შედეგი ნაწილობრივ მიღწეულია
- სწავლის შედეგი არ არის მიღწეული

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკა ადგენს სამიზნე ნიშნულებს, რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს, თუ რა შემთხვევაში ჩაითვლება სწავლის შედეგები მიღწეულად და რა შემთხვევა საყურადღებოდ.

დაწესებულებაში მოქმედებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ერთიანი დოკუმენტი, რომელზე დაყრდნობითაც შემუშავებულია წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექნიზმი. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ შეფასების მეთოდებს.

იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი სამიზნე ნიშნულებიდან განსხვავებული (არასაკმარისად კარგი) შედეგი წარმოჩინდა, უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად განხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის საჭიროების საკითხის განხილვა.

პირდაპირი მეთოდით შეფასების პროცესში მონაწილეობს ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო ყველა კომპონენტი და კომპონენტზე დარეგისტრირებული ყველა სტუდენტი. მნიშვნელოვანია არინიშნოს, რომ მტკიცებულებად წარმოადგენილი დოკუმენტები, არ ასახვენ სწავლის შედეგების შეფასების გეგმას - პერიოდულობას და სამიზნე ნიშნულების შერჩევის მეთოდოლოგიას.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირ მეთოდად გამოიყენება

| |
|---|
| კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების ანალიზი.<br><br>აღნიშნული მიგნებებისა და აღწერილობებზე დაყრდნობით ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი სწავლის შედეგების მექანიზმი არის თანმიმვდერული, კომპლექსური და პროგრამის განვითარებაზე ორიენტირებული მექანიზმი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ თვითშეფასება;<br>○ ინტერვიუს შედეგები;<br>○ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი; |
| **რეკომენდაციები:**<br><br>• რეკომენდებულია, დაკონკრეტდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა და სამიზნე ნიშნულების შერჩევის მეთოდოლოგია. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია | მეტწილად | ნაწილობრივ | არ არის |
|---|---|---|---|---|

| | მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | x | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |
| საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, მოდულებით - ქართული ენა და ლიტერატურა (დაწყებითი საფეხური), მათემატიკა (დაწყებითი საფეხური), ბუნებისმეტყველება (დაწყებითი საფეხური), გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური), სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური), ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება და მუსიკა, დაშვების წინაპირობის ჩანაწერში ასახულია რომ, „ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის ბაკალავრის/მაგისტრის აკადემიური ხარისხის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული საგნის გამოცდის ჩატარების წესით გათვალისწინებული შერჩეული მოდულის შესაბამისი საგნის / საფეხურის გამოცდა.<br>საგნის გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, აპლიკანტს აქვს უფლება, გააკეთოს განაცხადი შიდა საუნივერსიტეტო გამოცდაზე. პროგრამაზე ჩასარიცხად პირის შეფასების პროცესი ითვალისწინებს სამოტივაციო წერილის შეფასებას და მიმღებ კომისიასთან გასაუბრების გავლას. გასაუბრებისას აპლიკანტი ფასდება საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის ცოდნით და ინფორმირებულობით არსებული გამოწვევების შესახებ, უნდა წარმოადგინოს საკუთარი არგუმენტირებული პოზიცია მასწავლებლის როლის და შესაძლებლობების |

შესახებ, წვლილი შეიტანოს სისტემის განვითარებაში. პროგრამისთვის არის შემუშავებული სამოტივაციო წერილის და გასაუბრების შეფასების პროცესი, სადაც ფორმა, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები არის წინასწარ ცნობილი (შეფასების რუბრიკა).
ვიზიტის დროს, დადასტურდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და პროცედურები გაზიარებულია უნივერსიტეტის ვებგვერდის და სოციალური ქსელის მეშვეობით. დაინტერესებულ პირს ნებისმიერ დროს აქვს უნივერსიტეტთან დაკავშირების და დამატებითი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასება;.
- პროგრამა უნივერსიტეტის ვებგვერდზე:
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის ბრძანება №111
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლისა და საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის, პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესის და პროცედურების“ შესაბამისად.<br>პროგრამის შინაარსი და მოცულობა შეესაბამება სწავლების საფეხურს და მისი მოცულობა შეადგენს 60 კრედიტს. წარმოდგენილ სასწავლო გეგმაში ეს 60 კრედიტი გადანაწილებულია შემდეგნაირად: ყველა მოდულისთვის სავალდებულო სასწავლო კურსები-24 კრედიტი, არჩევითი მოდულების საგნის/საგნობრივი სწავლების მეთოდიკის კურსები, ჩაშენებული პრაქტიკით- (ქართული ენა და ლიტერატურა (დაწყებითი საფეხური), მათემატიკა (დაწყებითი საფეხური), ბუნებისმეტყველება (დაწყებითი საფეხური), გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური), სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური), ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება და მუსიკა)-თითოეული 20 კრედიტი და არჩევითი სასწავლო კურსები -6 თითოეული კრედიტი.<br>პროგრამა შედგენილია ევროპული კრედიტების ECTS სისტემის შესაბამისად, ითვალისწინებს სფეროს თანამედროვე მდგომარეობას და გამოწვევებს, რომელთა შინაარსიც მოიცავს დარგის თანამედროვე მიღწევებს. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს და სწავლის შედეგების მიღწევას, **თუმცა პროგრამის სასწავლო გეგმაში (პროგრამის დანართ 1-ში) რიგი ტექნიკური უზუსტობებია, კერძოდ, სააკრედიტაციოდ გადმოგზავნილი პროგრამის კურიკულუმის მიხედვით, არჩევითი სასწავლო კურსები -„თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში“, „დემოკრატიული განათლებისა და ადამიანის უფლებების შესახებ ინტეგრირებული სწავლების პრინციპები“, „მასწავლებლისათვის აქტუალური ფსიქოლოგიური საკითხები“, უნდა აისახოს პირველ სემესტრში, შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის სასწავლო გეგმასთან (დანართი #1);**<br><br>**კურსის დასახელება „გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკა (7-12) (ჩაშენებული** |

| |
|---|
| **პრაქტიკით)“ სილაბუსში მოცემულ დასახელებასთან;**<br><br>**სასწავლო კურსში „გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკა (ჩაშენებული პრაქტიკით)“ წინაპირობა მოვიდეს შესაბამისობაში პროგრამის სასწავლო გეგმასთან.**<br><br>ინტერვიუს დროს აღნიშნული საკითხების გარკვევის მიზნით დასმულ კითხვაზე პროგრამის ხელმძღვანელებმა დააზუსტეს, რომ გაპარული იყო ტექნიკური ხარვეზი.<br>დაწესებულების წარმომადგენლებთან და სკოლის დირექტორობებთან, საუბრისას აგრეთვე წარდგენილი ოქმების საფუძველზე გამოვლინდა, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყვნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პოტენციური დამსაქმებლები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და სხვა.<br>ვიზიტის დროს დადასტურდა რომ უნივერსიტეტს უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამა<br>○ თვითშეფასება;.<br>○ პროგრამა უნივერსიტეტის ვებგვერდზე:<br>○ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი და პროცედურები<br>○ ინტერვიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>• ტექნიკური უზუსტობების გასწორების მიზნით, გადაიხედოს სასწავლო გეგმა და შესაბამისობაში მოვიდეს ის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულ მონაცემებთან. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება** |

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან.
თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში კვალიფიკაციათა მე-6 დონის პროგრამას.
წარმოდგენილი სასწავლო კურსები უზრუნველყოფს მასწავლებლის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლით, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული ცოდნის მიღებას.
პროგრამაში წარმოდგენილი სწავლის შედეგების რუკაში განსაზღვრული სასწავლო კურსებით მისაღწევი სწავლის შედეგი იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რომელი სასწავლო კურსი უზრუნველყოფს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას მაღალი, საშუალო, თუ დაბალი ხარისხით, აგრეთვე სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები შესაბამისობაშია კურსის შინაარსთან.
ასევე, სასწავლო კურსების შინაარსი, ძირითად შემთხვევაში, შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს, თუმცა აღსანიშნია, **სასწავლო კურსები: „მუსიკის სწავლების მეთოდიკა (ჩაშენებული პრაქტიკით)“, „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლების მეთოდიკა (ჩაშენებული პრაქტიკით)“, „მოქალაქეობის სწავლების მეთოდიკა (ჩაშენებული პრაქტიკით“, „ბუნებისმეტყველების (I-VI კლასები) სწავლების მეთოდიკა (ჩაშენებული პრაქტიკით)“, და „მათემატიკის სწავლების მეთოდიკა (ჩაშენებული პრაქტიკით)“ მე-3 და მე-4,- სალექციო თემატიკები ითხოვს დეტალიზებას და შესაბამის საკითხებად ჩაშლას.**

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა ითვალისწინებს დარგის თანამედროვე მიღწევებს და შესაბამისობაშია კურსის სწავლის შედეგებთან ,შეესაბამება სფეროს აქტუალურ მიღწევებს და უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას,
**თუმცა აღსანიშნავია,** რომ **სასწავლო კურსებში: „სწავლება და შეფასება“, „ქართულის (1-6) სწავლების მეთოდიკა (ჩაშენებული პრაქტიკით)“, „ბუნებისმეტყველების (1-6) სწავლების მეთოდიკა (ჩაშენებული პრაქტიკით)“, „სამოქალაქო განათლების სწავლების მეთოდიკა (ჩაშენებული პრაქტიკით)“, „თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში“, „დემოკრატიული განათლებისა და ადამიანის უფლებების შესახებ ინტეგრირებული სწავლების პრინციპები“ არ არის ასახული დამატებითი ლიტერატურა, ამიტომ სასურველია პროგრამაში ზემოთ აღნიშნულ სილაბუსებში აღმოიფხვრას ეს ხარვეზი.**

**სასწავლო კურსში „თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში“** ძირითად ლიტერატურაში, **რეკომენდებულია** დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებულ სალექციო საკითხებთან მიმართებით, ინტერნეტგაზეთის „maswavlebeli.ge“ის სტატიების გარდა სილაბუსის ლიტერატურული წყაროები შეივსოს ამ საკითხთან დაკავშირებული სახელმძღვანელოებით, ან/და სპეციალურად შეიქმნას რიდერი/ სალექციო კურსი

პროგრამის რამდენიმე სასწავლო კურსებსი **„მათემატიკის სწავლების მეთოდიკა (ჩაშენებული პრაქტიკით)“, „კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლების მეთოდიკა (ჩაშენებული პრაქტიკით)“, „მოქალაქეობის სწავლების მეთოდიკა (ჩაშენებული პრაქტიკით“,** და სხვა ასახულია ელექტრონული წყაროები, რომელიც მდებარეობს სილაბუსის ავტორების პირად One Drive-ის ღრუბლებში **ან** გამოიყენება გარე ჰიპერბმულები, რომლებიც საშუალებას იძლევა გადაინაცვლოს სხვა ვებრესურსებზე, ამიტომ, **სასურველია, სილაბუსებში მითითებული ელექტრონული წყაროები იყოს დაფიქსირებული ელექტრონულ მატარებელზეც (CD და DVD-დისკზე ან სხვ.) და განთავსებული იყოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, აგრეთვე სილაბუსებში ელექტრონული რესურსები მითითებული იყოს ბიბლიოგრაფიული აღწერის წესით.**

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

თეორიული საკითხების ღრმად შესწავლის მიზნით, სასწავლო კურსში „თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში“ ძირითად ლიტერატურაში დაემატოს შესაბამისი სახელმძღვანელოები ან შეიქმნას ე.წ. რიდერი / სალექციო კურსი.

| |
|---|
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>• სასურველია, სასწავლო კურსებში: „სწავლება და შეფასება“, „ქართულის (1-6) სწავლების მეთოდიკა (ჩაშენებული პრაქტიკით)“, „ბუნებისმეტყველების (1-6) სწავლების მეთოდიკა (ჩაშენებული პრაქტიკით)“, „სამოქალაქო განათლების სწავლების მეთოდიკა (ჩაშენებული პრაქტიკით)“, „თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში“, „დემოკრატიული განათლებისა და ადამიანის უფლებების შესახებ ინტეგრირებული სწავლების პრინციპები“ განისაზღვროს დამატებითი ლიტერატურა<br>• სასურველია, სილაბუსებში მითითებული ელექტრონული წყაროები გადაყვანილი იყოს ქსელური წვდომიდან ლოკალურ წვდომაზე და დაფიქსირებული იყოს ელექტრონულ მატარებელზე (CD და DVD-დისკზე ან სხვ.) და იყოს შენახული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, აგრეთვე სილაბუსებში ელექტრონული რესურსები მითითებული იყოს ბიბლიოგრაფიული აღწერის წესით.<br>• სასურველია, დამატებითი ლიტერატურის ფარგლებში განისაზღვროს წყაროები მხოლოდ ქართულ ან/და უცხოურ ენაზე ადაპტირებული თარგმანით. |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| შეფასება<br><br>ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების |

| |
|---|
| განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| პროგრამა უზრუნველყოფს სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისობას, პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას და ჩამოყალიბებას, რასაც ადასტურებს მისი შინაარსი და სტრუქტურა.<br>საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს პედაგოგიური პრაქტიკას, რომელიც ინტეგრირებულია დაწყებითი (1-6), საბაზო და საშუალო (7-12 კლასების) შესაბამისი საგნის/საგნობრივი სწავლების მეთოდიკების მოდულში (20 კრედიტი) რომელსაც ითვალისწინებს შესაბამისი სასწავლო კურსის შინაარსი. აღნიშნული წარმაოდგენს სიახლეს თავად დაწესებულების პრაქტიკაშიც. კერძოდ, პრაქტიკა წარმოდგენილია მხოლოდ თეორიულ კურსებში ჩაშენებული ფორმატით და პრაქტიკული კურსები შეთავაზებულია პირველივე სემესტრიდან. სტუდენტს თეორილი საკითხების გააზრება უწევს პრაქტიკული დავალებების შესრულებისას. აღნიშნული წარმაოდგენს დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკას<br>ჩაშენებული პრაქტიკა საშუალებას აძლევს შეძენილი პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევების, შესაძლებლობების განხორციელებას, თეორიული ცოდნის კონსოლიდაციას, გაღრმავებას და გამოყენებას კონკრეტული პედაგოგიური პრობლემების გადასაჭრელად; ხელს უწყობს ადეკვატური პროფესიული თვითშეფასების გაძლიერებას და პროფესიული და პედაგოგიური კომპეტენციების გაუმჯობესებას.<br>სკოლაში პრაქტიკა მოიცავს: სასკოლო გარემოს გაცნობას, გაკვეთილებზე დასწრებას, მასწავლებლის ასისტირებას, გაკვეთილის დაგეგმვას და ჩატარებას; რეფლექსიის მომზადებას; სასკოლო პრაქტიკის მასალების მომზადებას პორტფოლიოსთვის და პორტფოლიოს დაცვას.<br>სტუდენტთა პრაქტიკის განხორციელების ბაზას წარმოადგენს თბილისის საჯარო და კერძო სკოლები. უნივერსიტეტს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმებული აქვს 80-ზე მეტ საჯარო და კერძო სკოლასთან საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მემორანდუმის პირობებში არ არის მითითებული პრაქტიკის ხანგრძლივობა და რა რაოდენობის სტუდენტების მიღება შეუძლია, ამიტომ **რეკომენდებულია, აღნიშნული პირობა განისაზღვროს სკოლებთან თანამშრომლობის შეთანხმების დოკუმენტით.**<br>პროგრამა ითვალისწინებს სავალდებულო სასწავლო კურსებს-„პრაქტიკული კვლევა“, რომლის მიზანია დაეხმაროს სტუდენტებს პრაქტიკული კვლევის დაგეგმვაში, გაანალიზებასა და დამუშავებაში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამა<br>○ პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის სილაბუსები<br>○ მემორადნუმები<br>○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;<br>○ ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>**დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მემორანდუმის პირობებში არ არის** |

**მითითებული პრაქტიკის ხანგრძლივობა და სტუდენტთა რაოდენობა. რეკომენდებულია, სკოლებთან თანამშრომლობის შეთანხმების დოკუმენტით განისაზღვროს აღნიშნული პირობა.**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტი წარმოადგენილია მხოლოდ თეორიულ კურსებში ჩაშენებული ფორმატით. ეს შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს თეორიული საკითხები გაიაზროს პრაქტიკული დავალებების შესრულების პარალელურად.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის სასწავლო კურსებში მოცემული სწავლის მეთოდების შესწავლის შედეგად დასტურდება, მეთოდების შესაბამისობა სასწავლო კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებთან და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. საგანანმანათლებლო პროგრამის სხვადასხვა კომპონენტის სწავლის მეთოდები გამოიყენება, უზრუნველყოფენ პროგრამით დადგენილი ცოდნისა და უნარების მიღწევას, სტუდენტისთვის შესაბამისი კომპეტენციების განვითარებას. სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: ზეპირი პრეზენტაცია,

დისკუსია, დებატები, ახსნა-განმარტება, სიტუაციის ანალიზი, კითხვა-პასუხი, როლური თამაში, ესე, ტექსტის ანალიზი, დაკვირვება, პრეზენტაცია, გამოიყენება აგრეთვე ჯგუფის ორგანიზების მრავალფეროვანი ფორმები: ინდივიდუალური, წყვილებში მუშაობა, ჯგუფური მუშაობა და სხვ.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს, ინფორმაციას ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესახებ, რის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შეიქმნას საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების, მობილობის, სტუდენტის სხვა სახის ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე ხელშეწყობის მიზნით, სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სილაბუსში მითითებულისაგან განსხვავებული სწავლა-სწავლების მეთოდები და/ან სასწავლო აქტივობები, აგრეთვე ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შეიქმნას საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების, მობილობის, სტუდენტის სხვა სახის ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე ხელშეწყობის მიზნით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- ინტერვიუები, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

| |
|---|
| ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.6. სტუდენტების შეფასება** |
